საჯარო სამართლის იურიდიული პირის
დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N ო-233

07/09/2022 233-0-4-202209071455

ტურისტული მომსახურების გაწევისა და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ქონების (მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ პირველ ბალდაში, ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე არსებული 24 130 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (უძრავი ნივთის ს/კ 41.12.37.043 და ს/კ 41.12.37.048) და მარტვილის რაიონში, სოფ. ინჩხურში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 3324 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ: 41.13.31.346) იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მომსახურების გაწევის უფლების გადაცემისას და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფორმით სარგებლობაში გადაცემისას საწყისი სააუქციონო ფასის განსაზღვრისა და აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 აპრილის N170 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 ნოემბრის N2-1150 ბრძანების, შპს „საშემფასებლო კომპანია ეისიდის“ დირექტორის ბაქარ დიაკონიძის 18.08.2022 წლის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ დასკვნის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 23.08.2022 წლის N 8221/01 და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 5 სექტემბრის N 5/49762 წერილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი ტურისტული მომსახურების გაწევისა და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ქონების (მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ პირველ ბალდაში, ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე არსებული 24 130 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთი (41.12.37.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთიდან 14142 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; 41.12.37.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთიდან 9988

კვ.მ. მიწის ნაკვეთი) და მარტვილის რაიონში, სოფ. ინჩხურში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 3324 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ: 41.13.31.346) იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის მიზნით, შემდეგი სააუქციონო პირობებით:

ა) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

ა.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ პირველ ბალდაში, ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე არსებულ 24 130 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ((41.12.37.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთიდან 14142 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; 41.12.37.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთიდან 9988 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) თანდართული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად)) ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) ვიზიტორთა ცენტრს, არანაკლებ 350 მეტრი სიგრძის საფეხმავლო და კიდულ ბილიკს (ხიდებითა და გადასახედებით) და არანაკლებ 350 მეტრი სიგრძის როლერის ატრაქციას - სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გადაცემული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად (არქიტექტურული პროექტი აუქციონში გამარჯვებულს გადაეცემა შესაბამისი ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის ვადაში);

ა.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადაში უზრუნველყოს მარტვილის რაიონში, სოფ. ინჩხურში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 3324 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N41.13.31.346) პარკინგის მოწყობა სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმებული რენდერის შესაბამისად;

ა.გ) ამ პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით განახორციელოს არანაკლებ 2 800 000 (ორი მილიონ რვაასი ათასი) ლარის ინვესტიცია;

ა.დ) ამ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) თვის ვადაში წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, მთლიანი საინვესტიციო თანხის (2 800 000 (ორი მილიონ რვაასი ათასი) ლარი) 10%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ვადას.

2. ტურისტული მომსახურების მიმღები სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებით უფლებამოსილია:

ა) სარგებლობაში გადაცემულ ქონებაზე მოაწყოს დამატებითი ინფრასტრუქტურა;

ბ) საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯით შეიტანოს ცვლილებები გადაცემულ არქიტექტურულ პროექტში.

3. ხელშეკრულების ვადის დასრულების ან ტურისტული მომსახურების მიმღების ბრალეული ქმედებით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ობიექტზე ინვესტიციის ფარგლებში მოწყობილი ინფრასტრუქტურა ყოველგვარი ანაზღაურებისა და კომპენსაციის გარეშე რჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

4. საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვროს ტურისტული მომსახურების გაწევისას ყოველწლიური ბრუნვის (ბრუნვა – სარგებლობაში გადაცემული ტურისტული მომსახურების მართვის უფლებით, სარგებლობით მიღებული ერთობლივი შემოსავალი (დღგ-ის გარეშე), ხარჯების გამოკლების გარეშე) 5%-ის ოდენობით. ამასთან, ტურისტული მომსახურების მიმღები ვალდებულია, ყოველწლიური ბრუნვის გადასახადთან ერთად ყოველწლიურად, იჯარით გადაცემული ქონების სარგებლობისათვის დამატებით გადაიხადოს 8 800 (რვაათას რვაასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

5. უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობა განისაზღვროს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით (ამ თანხაში შედის ქონების საბაზრო ღირებულების 0,2% - 352 ლარი). (ბე უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, თუ მონაწილე არ მიიღებს მონაწილეობას ვაჭრობაში ან აუქციონში გამარჯვებულმა ტურისტული მომსახურების გადაცემის ხელშეკრულების ხელის მოწერაზე უარი განაცხადა. ამასთანავე, აუქციონში გამარჯვებულ პირს, რომელიც უარს განაცხადებს ხელშეკრულების ხელმოწერაზე 1 (ერთი) წლის განმავლობაში ეკრძალება დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მომსახურების მიღება).
6. პირველი პუნქტის ,,ა.გ" ქვეპუნქტით ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნეს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული აუდიტორული დასკვნის საფუძველზე.
7. აუქციონის ბიჯის სიდიდე განისაზღვროს 1% ოდენობით.
8. ტურისტული მომსახურების გადაცემის ვადა განისაზღვროს 40 (ორმოცი) წლით.
9. განცხადება ელექტრონული აუქციონის გამართვის თაობაზე აიტვირთოს სააგენტოს ვებგვერდზე (www.apa.gov.ge) და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე (www.eauction.ge) 2022 წლის 9 სექტემბრიდან;
10. ელექტრონული აუქციონი დაიწყოს 2022 წლის 19 სექტემბერს 12 საათზე და დასრულდეს 2022 წლის 29 სექტემბერს 16 საათზე.
11. დაევალოს საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს საუქციონო მოსაკრებლის გადახდა;
12. დაევალოს იურიდიულ სამსახურს ელექტრონული აუქციონის გამართვა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საშუალებით;
13. დაევალოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება;
14. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს თომა დეკანოიძეს.
15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
16. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 64) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

დავით იოსებაშვილი

თავმჯდომარე